

დანახაულები თანამონაწილეობის სამართლებრივი ბუნება აშშ-ის სისხლის სამართალში

გიორგი ქობალია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი,
სისხლის სამართალში პროფესორის ასისტენტი

რეზიუმე. შედარებითი სისხლის სამართალი ნაციონალური სისხლის სამართლის განვითარების ერთგვარ ეტაპს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული კანონმდებლობები დიდად განსხვავებული და ცვალებადია, სამართლებრივი პრობლემატიკის შედარებით-სამართლებრივ ასპექტში განხილვა ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია. თანამედროვე ინტეგრაციის პროცესები, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, აქტუალურს ხდის სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების კანონმდებლობის ცოდნას, განსაკუთრებით კი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისეთ სფეროში, როგორცაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი. სტატიაში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მომარჯვებით, განხორციელებულია საერთო სამართლის სისტემაში მიღებული დებულებების შეპირისპირება კონტინენტური ევროპის შესაბამის სამართლებრივ პოზიციასთან. ამის საფუძველზე, მეცნიერების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიღწევათა გათვალისწინებით, შემოთავაზებულია შესაბამისი დასკვნა.

საკვანძო სიტყვები. თანამონაწილეობა, წამქეზებლობა, კომპარატივიზმი

1. შესავალი

საერთო და კონტინენტურ-ევროპული ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინასა და კანონმდებლობაში დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხები განსხვავებულად რეგულირდება. ეს განპირობებულია მოცემული სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ინგლისურ და ამერიკულ სისხლის სამართალში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკა მთელი რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება. რომანულ-გერმანული სა-

მართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ინგლისურ და ამერიკულ სისტემაში შედარებითი კვლევის მეთოდი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სხვადასხვა შტატის კანონმდებლობის შედარება-შეპირისპირება დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკაზე მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ამ თავისებურებას საერთო სამართლის ქვეყნების მეცნიერებაში. შედარებით-სამართლებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს ამერიკული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ეროვნული სისხლის სამართლის აკვარგიანობის განსაზღვრა – რა ღირებულებებს აღიარებს და რას აძლევს პრიორიტეტს, როგორია მისი განვითარების პერსპექტივები.

ამ მხრივ საინტერესოა აკადემიკოს *მინდია უგრეხელიძის* მსჯელობა შედარებითი სამართალმცოდნეობის თავისებურების თაობაზე, სამართლის, როგორც განზომილებათა სისტემასთან მიმართებაში: „სამართალი, უწინარესად, სამართალმშობელობაა თავისი არსითა და დანიშნულებით, შედარებითი სამართალმცოდნეობა კი სხვადასხვა სამართლებრივი „ოჯახების“ თავისებურებებს სწავლობს ურთიერთფარდობითობაში, აქედან ვერ გავეცევიტ დასკვნას, რომ შედარებითი სამართალმცოდნეობა ორმაგი სამართალმშობელობაა: პირველი მათგანი – შიდა სახელმწიფოებრივ სიდიდეთა სამართალმშობელობა; ხოლო მეორე – მათი სისტემური მთლიანობა საერთაშორისო განფენილობასა და ფარდობითობაში“. ამ მოვლენას *მ. უგრეხელიძე* ფიგურალურად „ლეგიმეტრიათა ლეგიმეტრიასაც“ უწოდებს¹.

2. დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ აშშ-ის სისხლის სამართლის დოქტრინასა და კანონმდებლობაში

2.1. დანაშაულში თანამონაწილეობა აშშ-ის სისხლის სამართლის დოქტრინის მიხედვით

ამერიკულ სამართალმცოდნეობაში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკა მთელი რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება. რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ამერიკულ სისტემაში შედარებითი კვლევის მეთოდი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სხვადასხვა შტატის კანონმდებლობის შედარება-შეპირისპირება, დანაშაულის წამქეზებლობის პრობლემატიკაზე, მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ამ თავისებურებას სამართლის ამერიკულ მეცნიერებაში. საინტერესოა ამ მხრივ, *მინდია უგრეხელიძის* მსჯელობა, რომელიც ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის *შერიფ*

1. *უგრეხელიძე მ.*, ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი – განზომილებათა სისტემა), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015. 153.

Բასիონის նաშროմի «მატერიალური სისხლის სამართალი»² განხილვისას გვთავაზობს. «ამერიკული კანონმდებლობა ხომ არსებითად ერთმანეთისაგან დაუქვემდებარებელი 53 დამოუკიდებელი საკანონმდებლო სისტემის კონგლომერატია, რომელშიც თითოეულ ცალკეულ სისტემას ისტორიულად შეპირობებული უამრავი თავისებურება ახასიათებს. ამ თავისებურებათა შედარებითი ანალიზი წარმოადგენს ამერიკული მეცნიერების უწინარეს ამოცანას. ამერიკელი სამართალმცოდნე უბრლოდ „ვერ იცლის“ ისედაც რთული ამერიკული საკანონმდებლო სისტემის სხვა სისტემებთან მეცნიერული შედარება-შეჯერებისათვის, ან კიდევ სპეციალურ ნაშრომში ეწევა საამისოდ დამოუკიდებელ კვლევას³.

ამერიკული სისხლის სამართლის დოქტრინის მიხედვით, დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ დასრულებული დანაშაულის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თუ დანაშაული არ იქნა ჩადენილი, თანამონაწილეები თავისუფლდებიან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე წამქეზებელს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს დანაშაულის წამქეზებლობისათვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის⁴. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დანაშაულში წამქეზებლობას, ამერიკულ სისხლის სამართლის დოქტრინაში დამოუკიდებელი სუბსტანცია არ გააჩნია. *მინდია უგრეხელიძე*, *შერიფ ბასიონის* ნაშრომზე დაყრდნობით, დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებასა და ტიპებს განიხილავს და გადმოგვცემს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, დანაშაულის მცდელობას (რომელიც მოსამზადებელ სტადიასაც გულისხმობს), დანაშაულებრივ შეთქმულებას და წამქეზებლობას „ახლადჩანასახოვან დანაშაულს“ უწოდებს⁵. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინები უამრავი საერთო და განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდება. რაც

2. *უგრეხელიძე მ.*, ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტიკის *შერიფ ბასიონის* ფუნდამენტური ნაშრომი „მატერიალური სისხლის სამართალი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., №3, 1980. 102. იხ., ასევე, *Liber Amicorum – მინდია უგრეხელიძე 80* (ცდა სამართლის პერსონოლოგიის შემოღებისა), რედაქციულად დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა *ბ. ქანთარიაძე*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022. 495-496.
3. *უგრეხელიძე მ.*, დასახ. ნაშრ., 102; *Никифоров Б. С.*, К вопросу о реформе уголовного законодательства в США (Политический аспект) „Правовые исследования“. Сборник научных статей, посвященных 70-летию *Тинатин Васильевны Церетели*, Тбилиси, 1977. 189; *ნასარგებლებია უგრეხელიძე მ.*, დასახ. ნაშრ., მიხედვით.
4. *ასე, მგალითად*, დანაშაულის ფაქტის ჩადენამდე დამხმარეს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს – წამქეზებლობისათვის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის. იხ., *გვენცაძე ე.*, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012. 116.
5. *უგრეხელიძე მ.*, დასახ. ნაშრ.; 104; უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა აღნიშნული მოვლენის გამოსახატად გამოგვეყენებინა არა „ახლადჩანასახოვანი დანაშაული“, არამედ „ჩანასახოვანი დანაშაული“?

შეეხება დანაშაულის მცდელობას, შეთქმულებასა და წამქეზებლობას, *შერიფ ბასიონის* მიხედვით, ამერიკულ სისხლის სამართალში, მათ კავშირს დანაშაულის სუბიექტური მხარის ერთიანობა განაპირობებს – დამნაშავეს სურს, რომ დანაშაული განხორციელდეს, შესაბამისი ობიექტური მხარე ბოლომდე არ არის მიყვანილი. მცდელობის დროს, დამნაშავე საკუთარი ქმედებისათვის აგებს პასუხს, შეთქმულებისა და წამქეზებლობისას კი – სხვისი ქცევისთვის⁶. *მინდია უგრეხელიძე* თანამონაწილეობის ბასიონისეულ გაგებას სამართლიანად აკრიტიკებს და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს ხედავს არა იმაში, რომ დანაშაული სხვამ ჩაიდინა, არამედ იმაში, რომ წამქეზებელს ან შეთქმულების მონაწილეს თავიანთი პირადი წვლილი შეაქვთ დანაშაულის ჩადენაში⁷. დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე ამერიკულ სისხლის სამართალში, განსხვავებით ქართული სისხლის სამართლისაგან, ევენტუალურ განზრახვასა და თვითიმედოვნებას ერთმანეთისაგან არ მიჯნავს, და შემოაქვს *Recklessness-ის* სამართლებრივი კატეგორია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორივე ამ ფორმას⁸. ასე, რომ ქართული სამართლისაგან განსხვავებით, ინგლისურ და აშშ-ის სისხლის სამართალში ევენტუალური განზრახვა და თვითიმედოვნება წარმოადგენს სუბიექტური შერაცხვის (*mens rea*) ერთიან ფორმას⁹.

2.1.1. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი ე.წ.

„ეკვივალენტურობის თეორიის“ შესაბამისად

სისტემურ მეთოდს თუკი მოვიმარჯვებთ, ამერიკელი იურისტები მთლიანობაში მხარდაჭერას უცხადებენ ე.წ. „ეკვივალენტურობის თეორიას“, რომლის თანახმადაც ყველა თანამონაწილე წარმოადგენს ამსრულებელს და ერთნაირად უნდა აგონ პასუხი. სხვადასხვა შტატების სისხლის სამართლის ნორმების შედარებით-სამარ-

6. *Bassiouni Cherif M.*, Substantive Criminal Law. Springfield. Illinois, 1978. 203; ციტირ. *უგრეხელიძე მ.*, ნაშრომის მიხედვით; ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტიკის *შერიფ ბასიონის* ფუნდამენტური ნაშრომი „მატერიალური სისხლის სამართალი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., 1980, №3, 104.
7. *იქვე*, 104.
8. *Recklessness-ის* სამართლებრივი ფიგურის შესახებ ინგლისურ სისხლის სამართალში იხ., *Safferling C.*, Vorsatz und Schuld, Subjektive Täterelemente im deutschen und englischen Strafrecht. „Mohr Siebeck“, 2008. 360-368, ასევე, ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით იხ. *Dubber M.D.*, Einführung in das US-amerikanische Strafrecht. „C.H. Beck“, 2005. 66-71.
9. *Mansdörfer M.*, Die Allgemeine Straftatlehre des common law: eine Darstellung unter besonderer Berücksichtigung des englischen Strafrechts. „Duncker & Humblot“, 2005. 73-76. სასექსის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროფესორი *რიჩარდ ვოგლერი* გეთავაზობს გერმანული, ფრანგული და ქართული ორელემენტური სისტემიდან – *განზრახვა და გაუფრთხილებლობა (Vorsatz und Fahrlässigkeit)* სამელემენტური სისტემაზე – *განზრახვა, ევენტუალური განზრახვა/თვითიმედოვნება და დაუდევრობა (Intent, Recklessness, and Negligence)* გადასვლას. ამასთან დაკავშირებით იხ. *ტურავა მ.*, ქართული სისხლის სამართლის განვითარების და სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“. თბ., 2021. №3. 82.

თლებრივი ანალიზის შედეგად, დგინდება, რომ „*ეკვივალენტურობის თეორია*“ საკმაოდ გაბატონებულია აშშ-ის სისხლის სამართლის დოქტრინასა და კანონმდებლობაში. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ კალიფორნიის შტატის სსკ-ის 31-ე თავი, სადაც ნათქვამია, რომ ყველა, ვინც „მონაწილეა დანაშაულის ჩადენისა (დამხმარებისა და წამქეზებლების ჩათვლით), პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებლები. დ. ფლეტჩერს მიაჩნია, რომ ამერიკული სამართლებრივი სისტემა, ისევე როგორც საერთო სამართლის ნებისმიერი სისტემა, დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკას „*ეკვივალენტური თეორიის*“ სამრეკლოდან განიხილავს¹⁰. ამერიკელი იურისტები თავიანთ ერთგულებას „*ეკვივალენტურობის თეორიის*“ მიმართ ხსნიან იმ დოქტრინაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოადგენს „*პასუხისმგებლობის თანაბრად დაკისრებას როგორც ამსრულებლების, ასევე თანამონაწილეებისაც*“ (*vicarious liability*). მოცემული დოქტრინის შესაბამისად, პირმა პასუხი უნდა აგოს სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის, თითქოს ეს იყოს მის მიერ საკუთარი ხელით ჩადენილი ქმედება¹¹. თანამონაწილე (როგორც თანამსრულებელი – ეს არის ამსრულებლის *alter ego*¹². ამდენად, თანამონაწილის ქმედება გარდაიქმნება ამსრულებლის ქმედებად¹³. უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ერთიანობის კონცეფციას მხარდამჭერები ჰყავს არა მარტო საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, არამედ თვით რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახში. ავსტრიელმა სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტმა დ. კინაპფელმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი დანაშაულის ერთიანობის კონცეფციას¹⁴.

შედარებითი სისხლის სამართლის დოგმატიკაში მძლავრობს პოზიცია, რომ დანაშაულის ამსრულებელს და თანამონაწილეს არ სჭირდება გამიჯვნა. გამოჩენილმა ინგლისელმა იურისტებმა *კოკმა* და *ბლეკსტონმა* მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთო სამართლის სისტემის ჩამოყალიბებაში, მათ ნაშრომებში ჩვენ ვხვდებით მითითებებს ამის შესახებ. „*ეკვივალენტურობის თეორიის*“ პირდაპირი გამოძახილია ის, რომ თანამონაწილეობა არის არა შედეგიანი დანაშაულის, არამედ საფრთხის დელიქტის ჩადენის ფორმა. ამ მოსაზრების თანახმად, ყველა თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მის მიერ ჩადენილი საფრთხის შემქმნელი ქმედებისათვის და შედეგის დადგომას მნიშვნელობა არ აქვს¹⁵. *სამოქალაქო აგენტის დოქტრინის თანახმად (civil*

10. *Флетчер Д., Наумов А.В.*, Основные концепции современного уголовного права, М., „Юрист“, 1998. 454.

11. *Quo facit per alium facit per ce* (ლათინური სენტენცია – ის ვინც მოქმედებს სხვისი მეშვეობით, მოქმედებს თვითონ).

12. *Alter ego* (ლათინურად, მეორე მე).

13. *ფლეტჩერი დ., ნაუმოვი ა.ვ., დასახ. ნაშრ.* 452.

14. *Kienapfel D., Höpfel F.*, Grundriß des österreichischen Strafrechts, Allgemeiner Teil, მე-8 გამოცემა, 2000. 192-195.

15. *Dresler J.*, Reforming Complicity Law, Trivial Assistance as Lesser Offence, Ohio State journal of Criminal Law, 2008. 444.

agency doctrine), თანამონაწილე (წამქეზებელი) თანხმდება ამსრულებელს, როგორც მისი აგენტის მოქმედებაზე და ის პერსონალურად პასუხს აგებს ამ ქმედებებზე, ანუ „თანამონაწილე ნებას რთავს ამსრულებელს, იმოქმედოს და თავის თავზე იღებს მის ქმედებას“. *პერსონალური იდენტობის კონფისკაციის თეორიის (forfeited personal identity doctrine) თანახმად*, ის, ვინც არჩევს, დაეხმაროს დამნაშავეს, უარს ამბობს საკუთარ პერსონალურ იდენტობაზე და მისი იდენტურობა შებოჭილია ამსრულებლის პიროვნებით. სხვის დანაშაულში მონაწილეობის თეორიით, რომლის წარმომადგენელია *სტენფორდ კადიში*, თანამონაწილე ისჯება იმიტომ, რომ ის ხელს უწყობს ამსრულებლის მიერ კანონის დარღვევას¹⁶. *მიმნებლობის თეორიით (complicity as omission)*, თანამონაწილეობა არის დანაშაულის მიმნებლობის მძიმე ფორმა, რომლითაც თანამონაწილეს დანაშაულთან მისი სპეციფიკური კავშირის გამო გამოვაცალკევებთ ყველა იმ პირისგან, ვინც ხელი არ შეუშალა დანაშაულის ჩადენას და მას ვაკისრებთ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას¹⁷.

2.2. თანამონაწილეობა აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულში თანამონაწილეობა წარმოდგენილია როგორც „*სისხლისსამართლებრივი შეთანხმება*“. აშშ-ში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემატიკამ ინგლისის საერთო სამართლის მნიშვნელოვანი ზეგავლენა განიცადა. ამდენად, დანაშაულში თანამონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ძირითადად ისევე წყდება, როგორც ინგლისურ სისხლის სამართლის დოქტრინაში. ასე, მაგალითად, *პირველი ხარისხის ამსრულებლად* ითვლება პირი, რომელიც თვითონ საკუთარი ხელით სჩადის დანაშაულს, იმყოფება რა დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მაგრამ ასეთად შეიძლება ცნობილ იქნეს ის პირიც, რომელიც „*კონსტრუქციულად*“ იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. მაგალითად, ადამიანი, რომელმაც მოწამლული სასმელი დატოვა იმისათვის, რომ მსხვერპლს შემდგომ დაეღვინა. თავისუფლად შეიძლება ითქვას იგივე *მეორე ხარისხის ამსრულებლების* მიმართაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი, აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას: „თუ პირი დახმარებით, რჩევით ან სხვა რაიმე საშუალებით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ არ

16. *Kadish S. H.*, Complicity, Cause and Blame, Study in the Interpretation Doctrine, California Law Review, Vol. 73, Issue 2, 1985.

17. *სტენფორდ კადიშის* მოძღვრება, გაანალიზებულია *კ. წიქარიშვილის* ფრიად საინტერესო და აქტუალური სტატიიდან: „დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში“. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016. 321.

იმყოფება შემთხვევის ადგილზე, მაშინ იგი ითვლება დამხმარედ დანაშაულის ფაქტობრივ ჩადენამდე¹⁸.

ნიშანდობლივია, რომ საერთო ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თანამონაწილეთა დაყოფა ამსრულებლებად (*პირველი და მეორე ხარისხის*) და წამქეზებლებად დანაშაულის ჩადენამდე, ფაქტობრივად გაუქმებულია ამერიკის ყველა შტატის კანონმდებლობაში. არსებითად, ყოველივე ამას ხელი შეუწყო აშშ-ის მოდელურმა სისხლის სამართლის კოდექსმა. მისი მე-2 მუხლის მე-6 პარაგრაფი თანამონაწილეთა სახეებს განსაზღვრავს, თუმცა მოდელურ სსკ-ში დანაშაულის თანამონაწილეობის დეფინიცია მოცემული არ არის. პირი ითვლება ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილედ, თუ მას მიზნად აქვს დასახული დანაშაულის ჩადენაში დახმარების გაწევა ან მისი გაადვილება, ასევე, თუ აქეზებს ასეთ პირს დანაშაულის ჩასადენად, ეხმარება ან ცდილობს დაეხმაროს სხვა პირს დანაშაულის დაგეგმვასა და ჩადენაში, იურიდიულად ვალდებული იყო თავიდან აეცილებინა დანაშაულებრივი ხელყოფა და არ მიიღო შესაბამისი ზომები. აშშ-ის სანიმუშო სისხლის სამართლის კოდექსი თანამონაწილედ მიიჩნევს წამქეზებლობას, დახმარებასა და მიმნებებლობას¹⁹. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა უთანაბრდება ამსრულებლის პასუხისმგებლობას. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. ამერიკული დოქტრინა გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას უარყოფს²⁰.

აშშ-ის მოდელური სისხლის სამართლის კოდექსი და სასამართლო დოქტრინა აშკარად უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. აღნიშნულ დებულებაზე მითითებას ჩვენ ვხვდებით *სანიმუშო სსკ-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში (ხაზგასმა ჩვენია – გ.ქ.)*, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის თანამონაწილე მაშინაც ექვემდებარება პასუხისმგებლობას, როდესაც სავარაუდო ამსრულებელი არ იქნა მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში ან არ ყოფილა გასამართლებული სხვა დანაშაულის ჩადენისათვის, ან სარგებლობს სისხლისსამართლებრივი დევნის იმუნიტეტით, ანდა სასამართლო გამოძიების შედეგად იქნა გამართლებული. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა თანამონაწილეობის დასჯადობისათვის თანამონაწილის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენას არ მოითხოვს. საინტერესოა ის, რომ ამერიკულ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მხარეს არ ევალება ამტკიცოს, რომ თანამონაწილის წვლილი იყო არსებითი დანაშაულებრივი შედე-

18. General principles of Criminal Law, by *Hall J.*, ინდიანას უნივერსიტეტი, 1960. 102. იხ. ასევე, *Hall J.*, General principles of Criminal Law, Second Edition, 2010. 135.

19. იხ. Примерный уголовный кодекс США. ამერიკული სამართლის ინსტიტუტის ოფიციალური პროექტი, ბ. ს. ნიკიფოროვის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. მოსკოვი, 1969.

20. *Kadish S. H.*, Complicity, Case and Blame, Study in the Interpretation Doctrine, California Law Review, 1985. 112.

გის დადგომაში. ბრალდებას ასევე არ ევალება ამტკიცოს, თანამონაწილეობის რომელი ფორმით მოქმედებდა ბრალდებული. უფრო მეტიც, ვერდიქტის გამოტანის დროს თანამონაწილეობაზე მითითება საერთოდ არ ხდება. თანამონაწილე ცხადდება ბრალეულად ზუსტად იმავე ფორმით, როგორც ამსრულებელი. იგივე წესი მოქმედებს ინგლისშიც²¹. ისეთ გარემოებას, რომელიც წამქეზებელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს, ეს უკანასკნელი გამოხატული უნდა იყოს აქტიური ფორმით. ასევე, უარის თქმას ადგილი უნდა ჰქონდეს დანაშაულის ჩადენამდე და პირმა ხელი უნდა შეუშალოს დანაშაულის ჩადენას, ანდა დროულად შეატყობინოს სათანადო ორგანოებს დანაშაულის მომზადების ან უკიდურეს შემთხვევაში მცდელობის შესახებ²². დანაშაულის წამქეზებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, როდესაც ის უარს აცხადებს დასჯადი ქმედების ჩადენაზე და საბოლოოდ, ნებაყოფლობით ხელს იღებს მის განხორციელებაზე. ასე, რომ თანამონაწილემ ყველაფერი უნდა გააკეთოს დანაშაულის აღსაკვეთად²³.

აშშ-ს სისხლის სამართალი არ იცნობს ფედერალურ სისხლის სამართლის ერთიან კოდექსს, მისი ზოგადად მიღებული გაგებით. სანიმუშო (მოდელური) კოდექსისაგან განსხვავებით, ამერიკის მთელი რიგი შტატების სისხლის სამართლის კოდექსები, თანამონაწილეობის ცნების ზოგად განსაზღვრებას შეიცავენ; ასე მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სსკ-ის მე-20 პარაგრაფის მიხედვით, დანაშაულში თანამონაწილეობად ითვლება შემთხვევა, „თუ ერთი პირი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ ქმედებას და ხელყოფს გარკვეულ სამართლებრივ სიკეთეს, ხოლო სხვა პირი, თუ ის მოქმედებს განზრახ ბრალეულად, ითხოვს, მოითხოვა, უბრძანებს, იღვწის, ან განზრახ ხელს უწყობს (ეხმარება) ამსრულებელს ასეთი ქმედების ჩადენაში“. რაც შეეხება დანაშაულის ამსრულებელს, ნიუ-იორკის სსკ-ის მიხედვით, ამსრულებელი არის ის, რომელიც დანაშაულის ჩადენაში იღებს მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, უშუალო მონაწილეობა მიიღო თუ არა ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, თუ მხოლოდ აქეზებდა ან ეხ-

21. *Lippman M.*, Contemporary Criminal Law, Concepts, Cases and Controversies, Sage Publications, 2007. 158; *Dressler J.*, Reforming Complicity Law: Trivial Assistance as Lesser Offence? *Ohio State Journal Of Criminal Law*. *Horder J.*, Ashworth's Principles of Criminal Law, საქმეზე – Gianetto (1977) – სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ ბრალდებულმა ან თავად მოკლა თავისი ცოლი, ან ვიღაც დაიქირავა მის მოსაკლავად. საერთო სამართალში გავრცელებულმა ამ წესმა ჯერჯერობით გაუძლო ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-6 (3) ფილტრს, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს დეტალურად უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების არსი და საფუძველი. ციტირ. *წიქარიშვილი კ.*, შტატიდან „დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში“. „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016. 319.

22. *Лясс А.*, Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных Теориях, С-Петербург, 1997. 105-107.

23. *ნიუ-იორკის შტატის* 1967 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. პარაგრაფი პირველი. 40-10.

მარებოდა სხვა პირებს დანაშაულის ჩასადენად²⁴. ამავე შტატის კანონმდებლობაში მითითებულია, რომ არ გამოირიცხება თანამონაწილის პასუხისმგებლობა, როდესაც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში ბრალი არ მიუძღვის, ან ამსრულებელი სსკ-ის მოქმედების ფარგლებში არ ყოფილა მიცემული პასუხისმგებაში. ცოტა სხვაგვარადაა განსაზღვრული თანამონაწილეობის საკითხები ოკაიოს შტატის სსკ-ში. თანამონაწილედ აღიარებულია პირი, რომელიც 1) აქეზებს ან ეხმარება (*abets or aids*) სხვა პირს დანაშაულის ჩადენაში; 2) თანხმობას აძლევს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად; 3) აგულიანებს ან აიძულებს არაბრალეულ ან შეურაცხად პირს დანაშაულის ჩადენას²⁵. თანამონაწილეობის საკანონმდებლო განსაზღვრება მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რომლებიც საერთო სამართლის მიხედვით, მეორე ხარისხის ამსრულებლისა და დამხმარის ცნებების გავლენის ქვეშ ექცევა. ილინოისის შტატის სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, თუკი დანაშაულებრივი ხელყოფის ჩადენამდე ან ჩადენის პროცესში განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ან შეამსუბუქოს ასეთი ქმედება. იგი აქეზებს, ეხმარება, ახალისებს, თანხმობას აძლევს ან ცდილობს დაეხმაროს სხვა პირს ასეთი დანაშაულის მომზადებასა და განხორციელებაში²⁶. პენსილვანიის შტატის სსკ-ის თანახმად, პირი დამნაშავეა სხვა პირთან შეთანხმებით დანაშაულის ჩადენაში, თუკი დანაშაულის ჩადენის უზრუნველყოფის ან დახმარების განზრახვით ის: ა) უკავშირდება სხვა პირს იმისათვის, რომ ჩაიდინოს ქმედება, რომელიც წარმოადგენს დანაშაულს ან დანაშაულის მცდელობას ან აქეზებს დანაშაულის ჩასადენად, ანდა; ბ) აქეზებს, ეხმარება, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე, რათა მოხდეს ამსრულებლისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება²⁷.

ლუიზიანის შტატის 1942 წლის სსკ-იც ასხვავებს *principals* და *accessories*, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ (*after the fact*)²⁸. *Principals* არის „ყველა პირი, რომელიც მიუხედავად დასწრება-არდასწრებისა, მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ეხმარება ან აქეზებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ ურჩევს

24. *Угрехелидзе Н.Г.*, Криминологическая характеристика соучастия в преступлении, „Мецниереба“, Тбилиси, 1975. 85; იხ, ასევე, Уголовный кодекс штата Нью-Йорк. ინგლისურიდან თარგმნა *ბ. ნიკოფოროვმა*. მოსკოვი, 1967. 10; Примерный уголовный кодекс США. ამერიკული სამართლის ინსტიტუტის ოფიციალური პროექტი, *ბ.ს. ნიკოფოროვის* რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. მოსკოვი, 1969.

25. *Schwartz L. B.*, The American Penal System: Spirit and Technique // *Anal. of the American Academy of Political and Social Science*//. 1962. 339.

26. *Samaha J.*, Criminal Law. Belmont. California, 2010. 16.

27. *Robinson P.H.*, Reforming the Federal Criminal Code. // *Buffalo Criminal Law Review*//. 1997, პირველი გამოცემა, №1. 233-234.

28. *Wechsler H.*, Codification of Criminal Law in the United States: The Model Penal Code // *Columbia Law Review*//. 1968. 68-ე გამოცემა, №8, 1425. იხ. *Model penal Code* and commentaries, American Law Institute, ოთხ ტომად, 1985. 115.

სხვას დანაშაულის ჩადენას²⁹. *Accessory after the fact* არის „ყველა პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეს მალავს, ფარავს ან ეხმარება, ფიქრობს, რომ ჩაიდინა დანაშაული და მისი განზრახვაა თავიდან აიცილოს დაპატიმრება, სასამართლო პროცესი და სასჯელი³⁰. აშშ-ის უმრავლეს შტატში დანაშაულის ყველა თანამონაწილე სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებელი. ამის შესახებ საუბარია აშშ-ის სისხლის სამართლის ფედერალურ კანონმდებლობაში³¹. ის, ვინც ჩაიდენს დანაშაულებრივ ხელყოფას აშშ-ის საწინააღმდეგოდ ან ეხმარება მის ჩადენაში, აქეზებს, იძლევა რჩევებს, ხელმძღვანელობს, იყოლიებს, ან უზრუნველყოფს მის ჩადენას, სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება როგორც ამსრულებელი. ის, ვინც განზრახ მოუწოდებს ქმედების ჩასადენად, რომელიც უშუალოდ მის მიერ ან სხვა პირების მიერ იქნება ჩადენილი, ჩაითვლება ამერიკის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად და პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ამსრულებელს. პირველ ნაწილში ბრალის ფორმების მიუთითებლობის გამო გადაწყვეტილებები მიიღება სასამართლოების მიერ, რომლებიც ზოგჯერ საკმარისად მიიჩნევენ „გარკვეულ შეგნებულ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, ე.ი. გაცნობიერებას იმისა, რომ პირმა ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“³².

3. დასკვნა

1962 წელს ამერიკული სამართლის ინსტიტუტის მიერ მიღებულ იქნა სისხლის სამართლის სანიმუშო (მოდელური) კოდექსი. მიუხედავად ამ კოდექსის სარეკომენდაციო ხასიათისა, იგი საფუძვლად დაედო აბსოლუტურად უმრავლესი შტატის ახალი სისხლის სამართლის კოდექსების მიღებას. ჩვენი დაკვირვებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო ინსტიტუტების განვითარებას სისხლის სამართლის სანიმუშო (მოდელური) კოდექსის მიღებამ იმითაც შეუწყო ხელი, რომ ანგლო-საქსური და რომანულ-გერმანული სისტემების თავისებურებათა ურთიერთმერწყმის მცდელობა დაიწყო და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

29. *Robinson P.H., Dubber M.D.*, The American Model Penal Code. მოკლე მიმოხილვა, //New Criminal Law Review//. საერთაშორისო და ინტერდისციპლინარული ჟურნალი, 2007, მე-10 გამოცემა, №3, 323.

30. *Леже Р.*, Великие правовые системы современности: сравнительно-правовой подход. Пер. с англ. *Грядова А. В., М.*, 2009. 147.

31. *ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა*. კანონთა კრებული, მე-8 განყოფილება, მე-2 პარაგრაფი. იხ. *გოთუა ზ.*, ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის ზოგადი დახასიათება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „ალმანახი“, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები. ავტორი და პასუხისმგებელი რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *გამყრელიძე ო.*, თბ., №13, 2000. 79-80.

32. *გვენცაძე ე.*, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012. 120.

ამასთან, სტატიაში გამოიკვეთა ამერიკული სისხლის სამართლის დოქტრინის არათანამიმდევრულობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, ერთი მხრივ, უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის (წამქეზებლობის) შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, ფართო გასაქანს აძლევს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის იდეას, რასაც ასევე თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების უარყოფამდე მივყავართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. გვენცაძე ე., დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. სადისერტაციო ნაშრომი, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012.
2. გოთუა ზ., ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის ზოგადი დახასიათება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. „ალმანახი“, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემები. ავტორი და პასუხისმგებელი რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გამყრელიძე ო., 2000, №13.
3. ტურავა მ., ქართული სისხლის სამართლის განვითარების და სისხლის სამართლის სფეროში გერმანულ-ქართული თანამშრომლობის ზოგიერთი საკითხი. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“. თბ., 2021. №3.
4. უგრეხელიძე მ., ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის შერიფ ბასიონის ფუნდამენტური ნაშრომი „მატერიალური სისხლის სამართალი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1980. №3.
5. უგრეხელიძე მ., ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი – განზომილებათა სისტემა), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები II, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015.
6. Liber Amicorum მიწდია უგრეხელიძე 80 (ცდა სამართლის პერსონოლოგიის შემოღებისა), მასალები მოიძია, რედაქციულად დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ბ. ქანთარია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022.
7. წიქარიშვილი კ., დანაშაულში თანამონაწილეობის დროს მიზეზობრივი კავშირის საკითხი ქართულ და ანგლო-ამერიკულ სისხლის სამართალში. „სამართლის ჟურნალი“, 2016. №1.

უცხოურენოვანი ლიტერატურა

8. Bassiouni Cherif M., Substantive Criminal Law, Springfield, Illinois, 1978.
9. Dresler J., Reforming Complicity Law: Trivial Assistance as Lesser Offence? Ohio State Journal Of Criminal Law, 2008.
10. Dubber M.D., Einführung in das US-amerikanische Strafrecht. „C.H. Beck“, 2005.
11. Hall J., General principles of Criminal Law, ინდიანას უნივერსიტეტი, 1960.
12. Hall J., General principles of Criminal Law, Second Editon, 2010.
13. Horder J., Ashworth's Principles of Criminal Law, Tenth Edition, 2022.



14. Kadish S.H., Complicity, Cause and Blame, Study in the Interpretation Doctrine, California Law Review, 1985.
15. Kienapfel D., Höpfel F., Grundriß des österreichischen Strafrechts, Allgemeiner Teil, მე-8 გამოცემა 2000
16. Lippman M., Contemporary Criminal Law: Concepts, Cases and Controversies, Sage Publications, 2007.
17. Mansdörfer M., Die Allgemeine Straftatlehre des common law: eine Darstellung unter besonderer Berücksichtigung des englischen Strafrechts. „Duncker & Humblot“, 2005.
18. Robinson P.H., Reforming the Federal Criminal Code. //Buffalo Criminal Law Review//. 1997, პირველი გამოცემა, №1.
19. Robinson P.H., Dubber M.D., The American Model Penal Code. მოკლე მიმოხილვა, //New Criminal Law Review//. საერთაშორისო და ინტერდისციპლინარული ჟურნალი, 2007, მე-10 გამოცემა, №3.
20. Safferling C., Vorsatz und Schuld, Subjektive Täterelemente im deutschen und englischen Strafrecht. „Mohr Siebeck“, 2008.
21. Samaha J., Criminal Law. Belmont (California), 2010.
22. Schwartz L.B., The American Penal System: Spirit and Technique //Annals of the American Academy of Political and Social Science//. 1962.
23. Wechsler H., Codification of Criminal Law in the United States: The Model Penal Code //Columbia Law Review. 1968. 68-ე გამოცემა, №8.
24. Леже Р., Великие правовые системы современности: сравнительно-правовой подход. Пер. с англ. Грядова А.В., М., 2009.
25. Лясс А., Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных Теориях, С-Петербург, 1997.
26. Никифоров Б.С., К вопросу о реформе уголовного законодательства в США (Политический аспект) „Правовые исследования“. Сборник научных статей, посвященных 70-летию Тинатин Васильевны Церетели, Тбилиси, 1977.
27. Угрехелидзе Н.Г., Криминологическая характеристика соучастия в преступлении. „Мецниереба“, Тбилиси, 1975.
28. Флетчер Д., Наумов А.В., Основные концепции современного уголовного права, М., „Юрист“, 1998.

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს სსრ-ის სამართლის კოდექსი, 1999.
2. Примерный уголовный кодекс США. ამერიკული სამართლის ინსტიტუტის ოფიციალური პროექტი, ბ.ს. ნიკიფოროვი, რედაქტორობითა და წინასიტყვაობით. მოსკოვი, 1969.
3. ნიუ-იორკის 1967 წლის სსრ-ის სამართლის კოდექსი.
4. StGB – Strafgesetzbuch. 45 Auflage. Deutscher Taschenbuch Verlag. 2008.